

სასერვერო ინფრასტრუქტურის ტექნიკური დავალება

1. ვირტუალიზაციისთვის გვჭირდება ერთი სერვერის შექმნა, არსებულ ინფრასტრუქტურაში დასამატებლად. არსებულ ინფრასტრუქტურაში გვაქვს ორი **ProLiant dl360 G9** სერვერი, თითოზე ორ-ორი 12 ბირთვიანი **E5-2687W v4 @ 3.00GHz** პროცესორი, 512 GB ოპერატიული მეხსიერებით. თავისი მონაცემებით ახალი სერვერი უნდა იყოს თავსებადი არსებულ სერვერებთან, რათა შესაძლებელი იყო მისი სასერვერო კლასტერში დამატება და HA/DRS რეჟიმების უზრუნველყოფა პირდაპირი კავშირით ან EVC mode-ს საშუალებით
2. სანახი სისტემებისთვის გვჭირდება **10 ტერაბაიტის** მოცულობის **SSD** მყარი დისკები (აღნიშნული მოცულობა წარმოადგენს რეალურ სამუშაო მოცულობას RAID 6 კონფიგურაციის შემთხვევაში და არა დისკების ჯამურ მოცულობას). აღნიშნული სანახი სისტემა უნდა დაემატოს უკვე არსებულ **HPE MSA 2040**-ს SAS Expansion Port-ის საშუალებით და შესაბამისად უნდა წარმოადგენდეს არსებული სისტემის გაფართოების თაროს.
 - მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს აღნიშნული სისტემების ფიზიკური მონტაჟი, ასევე პირველადი კონფიგურაცია:
 - ა) სერვერზე ვირტუალიზაციის ოპერაციული სისტემის ინსტალაცია (საჭიროების შემთხვევაში არსებულ სერვერებზე არსებული სისტემის განახლება)
 - ბ) ახალი სერვერის არსებულ სერვერებთან კლასტერში დამატება (EVC mode-ს აუცილებლობის შემთხვევაში, მისი გამართვა)
 - გ) სანახი სისტემების გაფართოების თაროს მონტაჟი, არსებულ თაროსთან დაკავშირება, RAID კონფიგურაციის გამართვა
- მოწოდების ვადა ხელშეკრულების დადებიდან 80 დღე მონტაჟი კომფიგურაცია ვადა 14 დღე